საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-559

ქ. თბილისი

12/07/2018

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-11, მე-13 პუნქტების და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.გაიცეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა #13; 25.06.2018წ.

2.საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #13; 25.06.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;

3.ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;

4.ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5.ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, მარნეულის და რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და წარმომადგენლობითი საინფორმაციო დაფაზე;

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი